

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ავერსის კლინიკა“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით (შემდგომში წოდებული „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ, \_\_\_\_\_ წარმოდგენილი მისი დირექტორის \_\_\_\_\_ სახით (შემდგომში წოდებული „შემსრულებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საქართველოში მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და დამკვეთთან შეთანხმებული პირობებით უზრუნველყოს სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების შესრულება საკუთარი მასალით (შემდგომში „სამუშაოები“).
- 1.2. სამუშაოების აღწერილობა, ჩამონათვალი, მასალა და მასალის ხარისხის შესახებ ინფორმაცია, მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც დანართის №1 სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 1.3. სამუშაოების შესრულების ვადა გათვალისწინებულია გეგმა/გრაფიკში, რომელიც დანართის №2 სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 1.4. ობიექტის ესკიზი/პროექტი/ფოტომონტაჟი, რომლის შესაბამისადაც შემსრულებელმა უნდა განახორციელოს სამუშაოები, მოცემულია დანართში №3, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**2. სამუშაოს ღირებულება**

- 2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (დანართი №1) განსაზღვრულია მხარეთა მიერ დადასტურებული სამუშაოების შესრულების ხარჯთაღრიცხვით, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_, დღგ-ს ჩათვლით.
- 2.2. გადახდა წარმოებს ლარებში, გადახდის დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად.

**3. ანგარიშსწორების წესი**

- 3.1. დამკვეთი იღებს ვალდებულებას, რომ გადაურიცხავს შემსრულებელს სამუშაოების საერთო ღირებულებიდან ავანსს, იმ ოდენობით, რა ოდენობაზეც იქნება შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი დამკვეთისათვის მისაღები ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, ამასთან, ავანსის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს \_\_\_\_\_ ლარს. ავანსის გადარიცხვა მოხდება, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის მისაღები ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან ავანსად მოთხოვნილ თანხაზე, წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის საფუძველზე, დოკუმენტაციის წარმოდგენიდან \_\_\_\_\_ სამუშაო დღის ვადაში.
- 3.2. „დამკვეთის“ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად, „შემსრულებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოთა აქტის წარმოდგენის, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და „შემსრულებლის“ მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან \_\_\_\_\_ სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
- 3.3. მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებიდან, „შემსრულებლის“ მიერ შესრულებულ სამუშაოთა აქტის წარმოდგენის, მხარეთა შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და „შემსრულებლის“ მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან \_\_\_\_\_ სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
- 3.4. დამკვეთის მიერ გადახდილი საავანსო საბანკო გარანტიის თანხის ნაწილობრივი გათავისუფლება განხორციელდება ზემოაღნიშნული შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო საავანსო საბანკო გარანტიის თანხის მთლიანი გათავისუფლების შემთხვევაში საავანსო საბანკო გარანტია უბრუნდება შემსრულებელს მოთხოვნისთანავე.

**4. სამუშაოების შესრულების ვადა**

- 4.1. მხარეები შეთანხმდნენ სამუშაოს განხორციელების შემდეგ ვადებზე:
  - 4.1.1. შემსრულებელი ვალდებულია დაიწყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუმეტეს \_\_\_\_\_ დღის ვადაში.

4.1.2. შემსრულებელი ვალდებულია დაასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, სამუშაოთა დაწყებიდან არაუგვიანეს ———.

4.2. შემსრულებელი უფლებამოსილია ვადაზე ადრე დაასრულოს და ჩააბაროს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.

## **5. მხარეთა უფლება-მოვალეობები:**

### **5.1 შემსრულებელი ვალდებულია:**

5.1.1. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართ(ებ)ით გათვალისწინებული სამუშაოები და ჩააბაროს დამკვეთს აღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და პირობებით.

5.1.2. უზრუნველყოს:

5.1.2.1. სამუშაოების შესრულება დამკვეთის მოთხოვნებისა და შესაბამისი წესების, ნორმების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე (მათ შორის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს/უფლებამოსილი პირის თანხმობის/მითითებების/ნებართვის შესაბამისად), მოცემულ სფეროში არსებული მეთოდების და ინსტრუქციების მიხედვით, ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსაგან მხოლოდ თანხმობის/ნებართვის მიღების შემდგომ და მის საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში, შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი/ზარალი და დაკისრებული ჯარიმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.1.2.2. სამუშაოების შესრულების ხარისხი, დამკვეთის მოთხოვნების და მოქმედი წესებისა და ნორმების შესაბამისად;

5.1.2.3. აღმოფხვრას ყველა დაზიანება, ნაკლოვანება და დეფექტი, რომელიც გამოვლინდება სამუშაოების მიღების დროს არაუმეტეს — დღის ვადაში, ხოლო საგარანტიო პერიოდის განმავლობაში დამკვეთისაგან შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს ——— დღის ვადაში. საგარანტიო პერიოდი შესრულებულ სამშენებლო/სარემონტო სამუშაოებზე შეადგენს ——— წელს. საგარანტიო პერიოდის ათვლა იწყება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულების შემდგომ მხარეთა შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობები ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებულ სამუშაოზე, მასალაზე, სხვა ყველა კომპონენტზე, თუ საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ, აღმოჩენილი დეფექტები არ იქნება გამოწვეული მექანიკური ზემოქმედებით. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი დაზიანების, ნაკლოვანების და დეფექტების აღმოფხვრის ხარჯებს.

5.1.3. სამუშაოების მსვლელობის განმავლობაში უზრუნველყოს შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა და გარემოს დაცვა. ამასთან, უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების ინდივიდუალური დაცვის (სპეციალური ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჩაფხუტი და ა.შ.) საშუალებებით აღჭურვა.

5.1.4. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უსაფრთხოების წესების დაცვა, ამასთან, სამუშაოთა წარმოებისათვის ობიექტის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით იზოლირება/გამოყოფა, პირთა ობიექტზე დაშვების შეზღუდვა, ხოლო აღნიშნულის დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს დამკვეთისათვის, მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი სრულად.

5.1.5. განაზოცილოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.1.6. სამუშაოების დამკვეთისთვის ჩაბარებამდე უზრუნველყოს სამუშაოთა წარმოების ადგილისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გათავისუფლება მოწყობილობების, ინვენტარის, ინსტრუმენტების, მასალის, ნარჩენების, დროებითი ნაგებობებისა და სხვა დანადგარებისაგან.

5.1.6. წარმოადგინოს სამუშაოთა შესრულებისას გამოყენებული მასალის ხარისხის/შესაბამისობის/წარმოშობის სერთიფიკატები დამკვეთის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.1.7. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებული წინასწარი ანგარიშსწორების უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადას არანაკლებ 1 (ერთი) თვით.

5.1.8. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვენტილაცია-გაგრილება/გათბობის სამუშაოების მიმდინარეობისას, თავად უზრუნველყოს გამოყენებული ელექტრო ენერჯისა და წყლის საფასურის ანაზღაურება. ელ. ენერჯისა და წყლის საფასურის გამოთვლა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართში დაყენებული მრიცხველის ჩვენების შესაბამისად.

5.1.9. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებით, შემსრულებელი ადასტურებს, რომ მას ხელშეკრულების გაფორმებისას მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დამკვეთისაგან გადაეცა ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ენტილაცია-გაგრილება/გათბობის პროექტი არსებული მდგომარეობით. სამუშაოთა წარმოებისას ნახაზებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი შეთანხმება.

5.1.10. ყოველი ფარული სამუშაო(ებ)ის ჩაბარებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) დღით ადრე შეატყობინოს დამკვეთს ფარული სამუშაოების დასრულების შესახებ. შემდგომი სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ ფარული სამუშაოების ჩაბარების და მათი დამადასტურებელი აქტების შედგენის შემდეგ. თუ შემსრულებელი არ შეატყობინებს დამკვეთს აღნიშნულის შესახებ და დაასრულებს სამუშაოებს დამკვეთის დასტურის გარეშე, შემსრულებელი ვალდებულია ნებისმიერ დროს მოშალოს ფარული სამუშაო დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად და საკუთარი ხარჯით ხელახლა დაასრულოს იგი.

5.1.11. სრულად და ჯეროვნად დაიცვას გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, შრომითი და სოციალური დაცვის ადგილობრივი ან/და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნები, მათ შორის შესაბამის სფეროში გაცემული ლიცენზიების ან/და ნებართვის პირობები. შემსრულებლის მიერ ზემოაღნიშნული პირობის შემოწმების მონიტორინგის მიზნით, დამკვეთი უფლებამოსილია სხვა ქმედებებთან ერთად, ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად განახორციელოს ობიექტ(ებ)ის დათვალიერება/შესწავლა და უსასყიდლოდ მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, თუ სხვა საჭირო მასალა, თუ ლაბორატორიული ანალიზის შედეგები, რომელიც შეეხება შემსრულებლის განვლილ, მიმდინარე და დაგეგმილ საქმიანობას გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, შრომითი და სოციალური დაცვის სფეროში. შემსრულებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს ნებისმიერი ინციდენტისა ან/და საგანგებო სიტუაციის შესახებ, ან/და გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, შრომითი და სოციალური დაცვის პირობის შეუსრულებლობის თაობაზე, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ან/და უსაფრთხოებაზე. შემსრულებლის მიერ წინამდებარე პუნქტით დადგენილი პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს პირობის შეუსრულებლობით დამკვეთისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი სრულად.

## **5.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:**

5.2.1 მოითხოვოს მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად.

5.2.2. მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადის გაზრდა იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც დამკვეთის ბრალით შეფერხდა სამუშაოთა წარმოება.

## **5.3 დამკვეთი ვალდებულია:**

5.3.1. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სამუშაოთა შესრულების (მათ შორის ხარისხი, პროექტი და სხვა) შემთხვევაში მიიღოს სამუშაოები და განახორციელოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების და მისი შემადგენელი ნაწილების საფუძველზე.

5.3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების (მათ შორის ხარისხი, მოცულობა, პროექტი და სხვა) შესაბამისად შემსრულებლის მიერ სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში ხელი მოაწეროს შემსრულებლის მიერ ხელმოწერილ სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტს შემსრულებლის მიერ მისი წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ან წარუდგინოს შემსრულებელს დასაბუთებული უარი მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერასთან დაკავშირებით.

## **5.4. დამკვეთი უფლებამოსილია:**

5.4.1. უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე და არ გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ამასთან, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ შემსრულებელი არ იწყებს სამუშაოების განხორციელებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ან თუ სამუშაოების შესრულების ტემპიდან (სამუშაოთა შესრულების გეგმა-გრაფიკის საფუძველზე) გამომდინარე ნათელი ხდება, რომ მათი დროულად შესრულება აშკარად შეუძლებელია.

5.4.2. ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა, შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის/ხარისხის, სამუშაოთა შესრულებისას გამოყენებული მასალის შემოწმებისათვის საკუთარი ხარჯით, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე შემსრულებლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე უარყოფითი დასკვნა იქნება წარმოდგენილი, ექსპერტიზის ხარჯებს სრულად ანაზღაურებს შემსრულებელი.

5.4.3. სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ნებისმიერ დროს უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე და არ გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება, ამასთან, მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია დააბრუნოს გადახდილი თანხა,

მათ შორის ავანსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად, თუკი შემსრულებელი სამუშაოებს ასრულებს უხარისხოდ/არაჯეროვნად ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამოდ.

5.5. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების ურთიერთობიდან გამომდინარე უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, რაც გულისხმობს მათთვის ვალდებულებათა შესრულების შედეგად ცნობილი ინფორმაციის (ტექნოლოგიური ხასიათის საკითხები, საქმიანობის დეტალები, კომპანიის კონტრაგენტების ვინაობა, სქემები, და სხვა) გამჟღავნების დაუშვებლობას მესამე პირებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი მხარეები ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე წინასწარ წერილობით შეთანხმდებიან ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## **6. მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. სამუშაოების მიღება-ჩაბარება ხორციელდება შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტში აღწერილი უნდა იყოს შესრულებული სამუშაოები და მათი ღირებულება.

6.2. დამკვეთი ვალდებულია განიხილოს და დაუბრუნოს შემსრულებელს ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი, ან წარუდგინოს მას დასაბუთებული უარი სამუშაოების ჩაბარებასთან დაკავშირებით.

6.3. დამკვეთის მიერ სამუშაოთა მიღებაზე უარის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია აღმოფხვრას აღმოჩენილი ნაკლოვანება/ხარვეზი/დეფექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობების შესაბამისად. ნაკლოვანებების/ხარვეზის/დეფექტის აღმოფხვრის შემდეგ სამუშაოების მიღება-ჩაბარება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

6.4. საბოლოო მიღება-ჩაბარება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართ(ებ)ით გათვალისწინებული ყველა პირობის შესრულების შემდეგ.

## **7. პასუხისმგებლობა, დავები**

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის/არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას, რათა წარმოქმნილი უთანხმოება და დავები აღმოფხვრან მოლაპარაკების გზით.

7.3. დავის მოლაპარაკების გზით გადაუჭრელობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4. შემსრულებელი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე. შემსრულებელი ასევე პასუხისმგებელია სამუშაოების მსვლელობის მთელი დროის განმავლობაში ობიექტის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და კონსტრუქციების უსაფრთხოებაზე. უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში დამკვეთისათვის ან მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება შემსრულებელს.

7.5. შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგად დამკვეთის საკუთრებისათვის/ობიექტისათვის ზიანის/ზარალის მიყენების შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი/ზარალი სრულად.

7.6. დამკვეთი არ არის პასუხისმგებელი იმ ვალდებულებებისათვის, რომელიც სამუშაოთა წარმოების დროს შემსრულებელს წარმოეშობა მესამე პირების წინაშე.

7.7. შემსრულებელი პასუხისმგებელია მის მიერ სამუშაოთა შესრულებისას გამოყენებული მასალების ხარისხზე. შემსრულებლის მიერ სამუშაოთა წარმოებისას ან/და სამუშაოთა დასრულების შემდგომ თუკი აღმოჩნდება, რომ გამოყენებული მასალა არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების დანართ(ებ)ში, ან/და შემსრულებლის მიერ წარმოდგენილ მასალის შესაბამის სერთიფიკატებში მითითებულ ხარისხს, დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს, ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7.8. შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რაც დამკვეთს მიადგება შემსრულებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი წესებისა და ნორმების, ამასთან, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსგან მიღებული თანხმობის/ნებართვის პირობების დარღვევით შესრულებული სამუშაოს შედეგად.

7.9. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე დამკვეთს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს/შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დაეკისრება, რაიმე სახის ადმინისტრაციული სახდელი (ან სხვა სახის პასუხისმგებლობა), ან/და დამკვეთს ან მესამე პირ(ებ)ს მიადგება ნებისმიერი სახის ზიანი, დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს ადმინისტრაციული სახდელის (სხვა სახის ჯარიმის) სახით გადახდილი თანხა ან/და ადმინისტრაციული ორგანოს/შესაბამისი უფლებამოსილი პირის დავალებით შესრულებული სამუშაოს

ღირებულება ან/და დამკვეთისათვის ან მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით გადახდილი თანხა ან/და განხორციელებული ქმედების შესაბამისი ღირებულება.

7.10. სამუშაოს შესრულების ვადების (დანართით №2 გათვალისწინებული გრაფიკის) დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაუხადოს დამკვეთს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის. შემსრულებლის მიერ შესრულების ვადების 10 (ათი) დღის გადაცილების შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე, ამასთან, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს მას დარიცხულ პირგასამტეხლოსთან ერთად ჯარიმა შესასრულებელი წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7.11. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების უხარისხოდ ან/და დანართ(ებ)თან შეუსაბამოდ შესრულების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია აღნიშნული ნაკლოვანების/დეფექტების/შეუსაბამობის აღმოჩენიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში გამოასწოროს აღმოჩენილი ნაკლოვანება/დეფექტი/შეუსაბამობა, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია არ გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ამასთან, ასეთ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დამკვეთს ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი/ზარალი სრულად. იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი არ აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს/ზარალს მიერ გადახდილი თანხის დამკვეთის მოთხოვნისა და 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნებლობის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მიმართოს გარანტს ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნით.

7.12. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.2.3. პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში (5.1.2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში) დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს და ამ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი თანხის 0.1%-ის ოდენობით. ამასთან, შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს დამკვეთისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი იმ ოდენობით რა ოდენობითაც დაუჯდება მყიდველს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში აღმოჩენილი ნაკლოვანების/ზარვეზის/დეფექტის აღმოფხვრა.

7.13. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი განახორციელებს სამუშაოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან ან/და ხარჯთაღრიცხვასთან/ესკიზთან/პროექტთან (დანართ(ებ)თან) შეუსაბამოდ, ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის, ვადების დარღვევის შემთხვევაში, რისთვისაც დამკვეთს მიადგება რაიმე სახის ზიანი/ზარალი, შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს ზემოაღნიშნული ზიანი/ზარალი, მოთხოვნისა და 1 (ერთი) კვირის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუკი შემსრულებელი არ აანაზღაურებს ზემოაღნიშნულ ზიანს/ზარალს მოთხოვნისა და 1 (ერთი) კვირის ვადაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7.14. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე რაიმე ფორმით შესთავაზებს დამკვეთის თანამშრომელს საჩუქარს/წახალისებას, რათა თანამშრომელმა მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სტიმულირება, წინ წაწევა ან ამ მომსახურების შესყიდვა, დამკვეთი უფლებას იტოვებს მოითხოვოს და ამ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა ხელშეკრულების სრული ღირებულების 50%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 000 ლარი.

7.15. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შემსრულებელი ადასტურებს, რომ ის არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 95<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მატარებელ პირს, შემსრულებელი ადასტურებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია უტყუარია. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აღმოჩნდება, რომ შემსრულებელი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირია ან გახდება, რის გამოც დამკვეთს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი (მათ შორის საგადასახადო ჯარიმის/სანქციის დაკისრება, გადახდილი თანხის ხარჯებიდან ამოღება და ა.შ.), შემსრულებელი იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს აღნიშნული ზიანი/ზარალი სრული მოცულობით პირველივე მოთხოვნისთანავე, 5 დღის ვადაში.

7.16. წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული მუხლებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულების მოვალეობისგან.

7.17. ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, თუმცა არა უმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-სა.

7.17. იმ შემთხვევაში თუ შემსრულებელი ხელშეკრულების პირობებს არღვევს განზრახი ან/და უხეში გაუფრთხილებლობით და დამკვეთი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია სამუშაოების დასრულება

ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და შემსრულებელს მოსთხოვოს, ხოლო ამ შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა წინამდებარე ხელშეკრულების საერთო, სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 5%-ის ოდენობით. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის დამკვეთის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნებლობის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მიმართოს გარანტს ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნით.

## **8. ფორს-მაჟორი**

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებათა ზემოქმედების შედეგებით. ასეთი გარემოების დასტურს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

8.2. მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს 3 (სამი) დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უფლება ადარ ექნება მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან განმათავისუფლებელ გარემოებაზე.

8.3. დაუძლეველი ძალის გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები.

## **9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის მისაღები ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან უნდა იქნას წარმოდგენილი უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, რომლის თანხაც განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების საერთო, სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 5%-ის ოდენობით. საბანკო გარანტია შემსრულებლის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

9.2. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში შემსრულებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.

9.3. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 1 (ერთი) თვის ვადით უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ვადას.

9.4. შემსრულებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია შემსრულებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9.5. შემსრულებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის მომსახურების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

9.6. შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დამკვეთი იყენებს საბანკო გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანისა და პირგასამტეხლოს ასანაზღაურებლად.

9.7. გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი კერძოდ: გარანტიით გათვალისწინებული თანხები დამკვეთმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

## **10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

10.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადამდე მხარეთა შეთანხმებით ნებისმიერ დროს, ხოლო დამკვეთის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ: 1. შემსრულებელი არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც შემსრულებელს დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო დამკვეთს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება; 2. დამკვეთი აღნიშნულის თაობაზე წინასწარ წერილობით შეატყობინებს შემსრულებელს; 3.

შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ წარუდგენს დამკვეთს მისთვის მისაღები ბანკიდან ან სადაზღვევო კომპანიიდან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას; 4. ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## 11. დამატებითი პირობები

11.1. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები, რომლებიც უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის და შესაბამისად ხარჯთაღრიცხვის (დანართი №1) ცვლილება დასტურდება შეთანხმებით, რაც მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერის შემდეგ ხდება წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

11.4. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან/და მისი სხვა ცალკეული მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზანი.

11.5. შემსრულებელი აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

11.6. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

11.7. შემსრულებელი წერილობით ატყობინებს დამკვეთს, წარმოშობიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, იმ გარემოებების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ გავლენა თავისი ვალდებულებების შესრულებაზე: რეორგანიზაცია, რეკვიზიტების შეცვლა, გადახდისუუნარობა ან გადახდისუუნარობის ალბათობა, ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვა და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი არ შეატყობინებს ან არადროულად შეატყობინებს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, ვალდებულია დამკვეთს აუნაზღაუროს ამასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი.

11.8. მხარეები თანხმდებიან, რომ დამკვეთის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ მიექცევა აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე-1<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად.

11.9. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11.10. ყველა ის საკითხი რომელიც არ არის რეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

11.11. ხელშეკრულება ფორმდება, ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის გადასაცემად.

## 12. მხარეთა ხელმოწერები

დამკვეთი:

**შ.პ.ს. „ავერსის კლინიკა“**

საიდენტიფიკაციო კოდი: 212002580

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 27/ბ

ბანკის დასახელება: ს.ს. „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის ნომერი: GE05BG000000170821600 GEL

გენერალური დირექტორი:

შენიშვნა: დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში შეიტანოს ცვლილებები. თანდართული ხელშეკრულების პროექტი წარმოდგენილია ნიმუშის სახით.